

სსსსლომენი

ყოველკვირეული სსპოლ. და სად. საგლეხო გაზეთი.

№ 2

წანასკევი 15 აგვისტო 1908 წ.

№ 2

შ ი ნ ა ა რ ს ი :

რა წდგომარეობაშია სოფელი? **თავისუფალია.**—წერილები მითხველ გლეხთან. გუშინ და დღეს, **მოსულისა.**—ზოგიერთი მოსაზრებანი მომხმარებელ (კოოპერატიულ) საზოგადოებათა შესახებ, **კ. კისა.** ერთობა ოსმალეთში, **ხალხის შვილისა.**—ფელეტონი მზეს (დექსი). **შხანკოლასი.**—დელის ცრემლები (ლექსი), **გერასიმოძისა.**—ერთობა სპარსეთში (მაგრძელვქა) **ხალხის შვილისა.**—სტალიური მანკოფილება. გამოსაღები ცნობანი. —ტყის მნიშვნელობა, **გ. ახალ მოსულისა.**—წერ ლები ჯანმრთელობაზედ, **კინდისა.**—განცხადება.

რა მდგომარეობაშია სოფელი?

როცა ბნელმა ძაღვმა გაიმარჯვეს ეგონათ ქვეყანაჩვენიაო და შეესივნენ სოფელს, დაუწყეს შევიწროება. ისინი ფიქრობდენ, რომ გლეხები ვიღაც მაწანწალა—პრობაგანდისტებმა ააბუნტეს, თორემ არ ამოიღებდენ ხმაო, რადგან გლეხებს უყვართ თავისი ბატონი, რომელიც დალას ახდევინებს და თავის მიწაზე ამუშავებსო. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ყველა გლეხი მიხვედრილი იქნება. როდის იყო, რომ გლეხი გულში ბოლომით არ იყო სავსე? როდის გაუცინია მას ტყილით? აბა ჰკითხე კალოობაზე გლეხს, როცა მემამულე დაადგება მოწეულ ხეავს და გადაითვლის თავის წილს, თითქოს მისი ნაოფლარი იყოს. აბა რომელ გლეხს უყვარს მისი ოჯლით მოწეულის წართმევა? დიან, გლეხს არ უყვარს და არც შეიძლება უყვარდეს ის, ვინც წურბელასავით ჩამოკიდებია და აღარ შორდება. ბიუროკრატიამ (მთავრობის მოხელეებმა) ეს უნდა იცოდეს, მარა განგებ იბრმავებს თვალს; და არ აქცევს ყურადღებას. აი განვიხილოთ აბა რას აკეთებს ის სოფლათ, ვის ექომავება და რატომ: როცა თავადებმა დალა მოითხოვეს და თავის ძალით ვერ წაიღეს, მაშინ ეგზეკუცია ჩააყენეს სოფელში, სტრაჟნიკები დაასიეს

და მთრახებით გლეხებს სულის ამოხდას უპირებდენ. ხშირათ ი დალა ერთი-ორათ გადაახდევინეს გლეხებს; როცა ბური არ აუვიდათ, უქანასკნელი ქეაბი და ხალიჩები გაუყიდეს და ისე დააკაყოფილეს მემამულე. მარა ეს კიდევ არაფერი. რომ შემდეგში გლეხებს აღარ გაებედნათ მემამულისთვის ურჩობა; დასცვალეს სოფლის მამასახლისები და დაყენეს მთავრობის მამასახლისები. რადგან ეს მამასახლისები ხალხის მტრები იყვენ და გლეხებს ეჯავრებოდათ, მათ ყარაულებათ მიუჩინეს სტრაჟნიკები; და ამ სოფლის დამრბევთ ჯამაგირი ისევ სოფელმა უნდა აძლიროს. ესაა სამართალი? ხალხს მტერი დაუყენეს ბატონათ და მასვე ახდევინებენ მის შესანახ ფულს. ჩვენ ხელთა ვაკექს თვითონ მთავრობისაგან შეგროვილი ცნობები თუ რამდენს იხდიან გლეხები ამ მამასახლისების და სტრაჟნიკების შესანახათ. აი ეს ცნობებიც: გორის მაზრაში 6 თვის განმავლობაში ე. ი. 1908 წლის 1 ივლი ამდე გლეხებმა უნდა გადაიხადონ მთავრობის დანიშნულ მამასახლისების და მათი მხლებელ სტრაჟნიკების შესანახათ **გორის მაზრაში 16,306 მანეთი.** ეს ფული საბოქაულოებზე ასეა განაწილებული. ბოჯომის საბოქაულოში სულ შვიდი ს-

627

ზოგადობა არის. ხუთს მთავრობის მამასახლისი და ორს სოფლის არჩეული. მათ ყავთ 21 სტრაჟნიკი, და ჯამაგირი ეძლევათ ოთხი ათას სამასი მანეთი.

ქარელის საბოქაულოში არის ოთხი საზოგადოება. ამათგან ორში—ხცისში და ზღურღში მთავრობის მამასახლისებია. ორში კი გლეხების არჩეული. სტრაჟნიკებია დაყენებული 13, და ჯამაგირათ ეძლევათ ორიათას ხუთას სამოცდაექვსი მანეთი.

ახალქალაქის საბოქაულოში ოთხი საზოგადოებიდან ორში მთავრობის მამასახლისია, და ათი სტრაჟნიკი, ეძლევათ ჯამაგირათ ორიათას ას ათი მანეთი.

მეჯვრისხევის საბოქაულოში ხუთი საზოგადოებიდან სამში მთავრობის მამასახლისია, ორში არჩეული. სტრაჟნიკებია ხუთმეტი, მათი ჯამაგირი უდრის ორიათას ექვსას ოცდაათ მანეთს.

ცხინვალის საბოქაულოში ოთხ საზოგადოებაშია მთავრობის მამასახლისი და ერთში არჩეული. სტრაჟნიკებია დაყენებული ხუთმეტი; ჯამაგირი ეძლევათ სამიათას ორას ოცი მან. მთა ოსეთის ნაწილში ორი მთავრობის მამასახლისია და შვიდი სტრაჟნიკი, ხდებათ ფული

მათ შესანახათ ათას ას ოთხმოცი მანეთი. ამნაირათ მთელ მაზრას ახალი ბეგარა თექვსმეტი ათას სამას ექვსი მანეთი აქვს ნახევარ წელიწადში. წლიურათ კი უნდა გადაიხადონ ოცდათორმეტი ათას ექვსას თორმეტი მან.

ახლა არ იტყვიოთ, რისთვის ახდენიებენ ამდენ ბეგარას ხალხს? რისთვის არიან ეს მამასახლისები? იმისთვის, რომ დაიჭირონ ყაზალები და ქურდებიო, აცხადებს მთავრობა. და აგრეთვე დაიჭირონ პროზაგანდისტები, რომელნიც ხალხს აბუტტებენო. ენახოთ, როგორ ასრულდებენ ესენი ამ მოვალეობას. ხალხის კეთილისმყოფელთა დევნა რომ არ ეზარებათ ეს მართალია. მაა ყაზალების დაქტრაში კი უვარგისი არიან. ან კი როგორ უნდა დაიჭირონ მათ ყაზალები? თქვენ კარგათ გეცოდინებათ, რომ ცნობილ ყაზაღს—კ. ყ—ულს—მთავრობა მამასახლისათ უპირებდა დაყენებას. იცით ისიც, რომ სტრაჟნიკებიც არ არიან უკეთესი პირები. ისინი უფრო ეხმარებიან ქურდ-აგაზაკებს, ვინც

ერჩიან მათ. ამის მაგალითი თვითეულმა გლეხმა კარგათ იცის. სამაგიეროთ ისინი ხშირათ ამართახებენ უდანაშაულო გლეხებს და ამისთვის არავის წინაშე პასუხს არ აგებენ, სანამ ხალხი არ მოსთხოვს პასუხს, რასაკვირველია. აი ერთი მაგალითი ამ მამასახლისის თავგასულობის: „ხცისის მამასახლისს, რომელიც მთავრობისგან არის დაყენებული წესიერების დასაცავათ ძალზე უტყვია გლეხისათვის. მომრიგებელ შუამავალს ამაზე ოქმა შეუდგენია და მაზრის უფროსისთვის წარუდგენია, მარა მამასახლისი არა თუ არ გამოუტყვლიათ, შეუქიათ კიდევ. ამით გათამამებულს, მას მეორეჯერ თვითონ იმ მომრიგებელი მოსამართლის თვალწინ გაუმართახებია გლეხი უდანაშაულოთ. აი ასეთი გმირებია ე' მამასახლისები. აი ასეთისთვის გასამართახებლათ ახდენიებენ გლეხებს წლიურათ 32 ათას მანეთზე მეტს. ხალხში რომ ერთობის სული ახლაც ძლიერი იყოს, მაშინ ეს მამასახლისები ვერ გაბედდენ ასე თარეშს. მაშინ ისინი მთრახს დამალავდენ და ძმობას შემოგფიცავენ. დღეს კი, როცა ხალხი გულგატეხილია, ასე დანავარდობენ. მარა იმედი უნდა ვიქონიოთ რომ, დრო მოვა და გლეხების გასაქირსაც ბოლო მოეღება. ჩვენ მხოლოთ ვეცადოთ რაც შეიძლება ადრე მოვიდეს ეს დრო და მომზადებული დავხვდეთ მას.

თავისუფალი.



წერილები მკითხველ-გლმსთან.

გუშინ და დღეს.

II

პირველ წერილში, მეგობარო, მე სხვათა შორის გწერდი: „აბა ჩაუკვირდეთ ცოტა ღრმათ ცხოვრებას, მიეხედ მოვიხედოთ გარემო, იქნება დავინახოთ საიმედო ნიშნები. იქნება მომავალს არც ისეთი სამწუხარო ნიშნები უჩანდეს, როგორც შენ გგონია“ მეთქი. იმის გასაგებათ კი მეგობარო, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი ვითარება-მდგომარეობა, საქირაო მოკლეთ მანც ვაფიქვალისწინოთ რა იყო გუშინ, რომ ამით ცხადი და ნათელი იყოს ჩვენთვის ის, რასაც დღეს გან-

ვიცი. უნდა ანგარიში მივცეთ ჩვენ თავს იმაში, რასაც ველტოდით, ვესწრაფოდით.

შენ კარგათ გეხსომება, მეგობარო, რომ ჩვენში ერთობა სულ რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ელვის სისწრაფით მოვლო მშრომელი ხალხის უმრავლესობას. მოხუცი თუ ახალგაზნა, კაცი და დედაკაცი ყველა გიტაცა თავისუფლების და ერთობის წარმატება სურათმა და ბრძოლის ველზე გამოიყვანა. იმ დროს თითქოს ჰაერიც კი გაუღვნილი იყო თავისუფლების სიოთი. თუ წინეთ მხოლოდ ზოგიერთ ხალხისთვის გულ შემატკივარ პირებს, რომლებიც ხალხს უჩვენებდნენ სიმათლის გზას—ეძახოდნენ „ბუნტოვნიკებს“, ახლა ხალხის უმეტესობა გადაქცეულიყო „ბუნტოვნიკებაი.“

„მიწა და თავისუფლება“ ეს გლეხის გულის სიღრმიდან ამონაკვნისი სიტყვები შეიქმნა მისი გულის ნადების საუკეთესო გამოხატველად. ამ სიტყვებში ჩაქსოვა მან, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ათასი წლობით გულზედ მოწოლილი მხამი და ტანჯვა. ეს სიტყვები წააწერა მან თავის წითელ დრო-

შას, როგორც მისთვის აუცილებელი მოთხოვნა. და აკი იმიტომაც კიდით-კიდემდე ჩვენი ქვეყნის თვით მიყრუებულ კუთხეებშიაც გაისმოდა სოფლის მუშის ამ გვარი ყიყინა.

ხალხი მოითხოვდა, მეგობარო, მთელი დღევანდელი წყობილების გარდაქმნას, მიწების შემამულებიდან უსასყიდლოთ ჩამორთმევას და ხალხის ხელში გადაცემას, კანონების ხალხის არჩეული კაცების მიერ გამოცემას, მართვა გამგეობის მათე ხელში გადასვლას და გადასახადების შემცირებას. ეს კი ნიშნავს, ჩემო კარგო, მთელი საუკუნოებით დაწესებული ადათ-წესების შეცვლას, თავდაყირა დაყენებას. მუქთა-ხორობას დაჩვეული შემამულებების მშრალზე დატოვებას და სხვა.

როგორც ხედავ, მეგობარო, ჩვენ ვიკისრეთ ძლიერ ძნელი და სერიოზული საქმე. ჩვენ მოვიწადინეთ გადაგვედგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ზოგიერთა პირების და ჯგუფების ჯიბის ინტერესებს მაგრა ხვდებოდა. ჩვენი მიზანის მიხედვით მათ დაღუბვას მოასწავებდა. ჩვენი გამარჯვება მათ სასტიკ დამარცხებას.

ამ გვარად მეგობარო, როგორც შენ თვი-

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

მ ზ ე ს

ჰეი, შენ მზეო, პირქუშათ
რას ჩამოგვცქერი მალღოთა?
გეყოფა, რით ვერ იჯერე
გული ქვეყნისა დაგვირა?

თავს ნუ გასულხარ, გახსოვდეს:
შენც ვერ აცდები ჰირსაო,
დაჰკრავს ყამი, და საღამოს
შენც მიწა გეყოფს პირსაო.

შხანკოლა.



დედის ტრამლევი.

მახსოვს, დედილო, შენი ტრამლევი,
როცა ჩვენ კერას ვეთხოვებოდი;
თუმცა მე შენებრ არა ვსტიროდი,
მაგრამ გულში-კი, ნადღლით ვდნებოდი.

შენს დამქნარ სახეს ცრემლით ნაკადული
უხვდა ჰბანდა, ეღვენთებოდა,
მის დანახვაზე ჰაბუკი გული,
ვით ცეცხლის ალი აღმენთებოდა...
ბრაზ-მორეული მზათ ვიყავ იმ დროს,
შევბრძოლებოდი ჩვენს დამტანჯველსა,
ერთხელ სიკვდილი მიჯობდა ბარემ
ყოველ წუთს ჯავრსა, სევდას დამწველსა!...
რისთვის დაგვითიშეს ნეტავ, დედილო,
რათ მოგაშორეს მშობელსა შვილი?
თუ სხვისა ვიყავ, შენ რაღათ მზრდიდი,
ჩემთვის რათ იყავ აგრე გულ-ჩვილი?!
მომწყვიტეს მე ჩემს მშობელ მხარესა
და ცივ ქვეყნებში გადამისროლეს,
ვის რას ვარგვიარ: დაუსუსტი, გავხდი,
უდროთ სიცოცხლე მე შემიმოკლეს!..
აწი, დედილო, ნულარ ინაღვლებ,
ჩემთვის ნუ დაღვრით ტრემლს მღულარესა,
ამაო არის შენი ქვითინი;—
ველარ დაიხსნი შვილს მწუხარესა...
ჩემი ხვედრია აქვე სიკვდილი,
მაღე გასქრიან ცივ სამარესა,

თონ ხედავ ერთობა არ იყო ყველასთვის ხელსაყრელი. ერთობა უქადადა ერთს ბედნიერების დასაწყისს, ხოლო მეორეს კი საშიშნელ უბედურებას. ასეა, ჩემო კარგო, მუდამ. დღევანდელ ცხოვრების პირობებში ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზე შენდება...

თავად აზნაურნი, მსხვილი მემამულენი, მთავრობის მოხელენი და ყველა ჩვენი ქვეყნის და მთელი რუსეთის ბრძანებლები—აა ის პირები და ჯგუფები, რომელთაც ერთობის გაგონებაზე თავბრუ ესხმით, პირიდან ცოფებს ჰყრიან, ხოლო თავლებში კი მომავლის აჩრდილი ეჩხირებათ, როდესაც ეს ბუნებისაგან გახრწნილ-გალაღებული, მუქთა ხორობის დაჩევილი ძენი, ბატონობას მოკლებულნი ჩვეულებრივ ადამიანებათ ვადიქცევიან და დასკირდებათ საკუთარი შრომით ცხოვრება. ცხადია მეგობარო, თავის მტერი არავინ არის. საკუთარ სამარეს, საკუთარი ხელით არავინ გაითხრის. თავის ბატონობას ისე არავინ დასთმობდა და ყველა ეცდებოდა მოეკრიფნა უკანასკნელი ძალღონე და გამკლავებოდა მტერს. ასეთ პირობებში მეგობარო უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის მუდამ ძალას. ვისკენაც

იქმნებოდა ძალი, გამარჯვებაც მისი უნდა ყოფილიყო. ამგვარად უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდევ ბრძოლა.

ხალხის ასეთ ბრძოლას, მეგობარო, ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, მის ძალით შესაცვლელათ; უსამართლობის მოსასპობათ და ახალი ცხოვრების პირობების დასამყარებლათ—ჰქვიან რევოლიუცია. ხოლო თვით მომქმედთ, ანუ იმ პირთ, რომლებიც ამ ბრძოლაში იღებენ მონაწილეობას—ექაზიან რევოლიუციონერებს. რევოლიუციის წინააღმდეგ მოქმედებას ძველი წესწყობილების აღსადგენათ, ჰქვიან რეაქციონერობა და თვით მომქმედთ—რეაქციონერები. მე მეგონა მეგობარო, ესლა შენთვის ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, რომ რევოლიუციას თან სდევს რეაქცია. რევოლიუცია ურეაქციოთ წარმოუდგენელია. აბა იფიქრე, რა საქირთა ბრძოლა ძველი წესწყობილების წინააღმდეგ იქ, სადაც არ მოიპოვებიან ამ ძველის დამცველნი? როგორ შეიძლება ბრძოლა თუ მოპირდაპირე არა გყავს, ქარის წისკილებს ხომ არ ეომები? ხოლო თუ რევოლიუცია არის ბრძოლა ძველისა და ახალი წყობილების მომხრეთა შორის, შესაძლებელია


მოკვცდები, მაგრამ ჩემს ძვლებს იცოდენ მიწა არ შესკამს უცხო მხარეს!.. ისინი აქაც შეტარტმნდებიან, თუ დაღა ყამი განახლების, თუ რომ მოესწრო ტანჯული ხალხი განადგურებას მტარვალებისა... თუ დაიღეწა ბორკილი რკინის, გზა გაიკაფა თავისუფლებამ, თუ კაცთა შორის გამეფდა ძმობა და გაიმარჯვა ნება-უფლებამ... თუ რომ მოისპო ძალ-მომრეობა, შესწყდა ქეთინი, ჩაგრულთა კენესა, იქ, სადაც ესლა ჯოჯოხეთით ერთობის მსგავსი რამ დაეწყეს... მათ შინ, დედილო, მეც ვაგიხარებ, შეინძრევიან აქ ჩემი ძვლები. ესლა ამას გათხოვ: ნულარ იტირებ, გულსა მიღონებს შენი ცრემლები!..

მართობა სპარსეთში.

(გაგრძელება)

მართალია მეჯლისში, ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებთან ერთად მისი მტრებიც ისხდნენ, მაგრამ უკანასკნელთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო და მათი გავლენაც უჩინუნელო. ბრძოლა მართლაც რომ სამკედრო-სასიცოცხლო იყო. შახი ხედავდა, რომ მეჯლისის და ენჯუშენების დღითი-ღღე იღლებუნ ხელში ქვეყნის მართვა-გამგებობას, რომ მასა და მისი კაცების ბრძანებას არავინ არ უჯერებდა, მაგი, რამ ხსნას არსაიდან ხედავდა. მეჯლისი კი, სპარსეთის დედა ქალაქ თეირანიდან, მედგრათ მოუწოდებდა ხალხს, დარაზმულიყო და ძველი მტარვალური წესწყობილების ნიშანიც მოესპო. ენჯუშენები, ეს პატარა მეჯლისები, რომლებითაც მოფენილი იყო მთელი სპარსეთი უკან არ რჩებოდა და ბანს აძლევდა თეირანს. შახს იმედი ქონდა, რომელიმე დიდი მოსაზღვრე სახელმწიფო მომეხმარება, ჯარს

ალ. გერასიმოვი.



ხან ერთის ხან მეორის გამარჯვება, ხან რევოლიუციის, ხან რეაქციის; სანამდისინ საშუალოდ არ გაიმარჯვებს რომელიმე. როგორც რევოლიუციის გამარჯვება შეიძლება იყოს დროებითი და უღლეო, აგრეთვე რეაქციისაც ერთი სიტყვით, რომ უფრო ადვილათ გადამოგვცე მეგობარო ჩემი აზრი და გაგაგებინო მოვიყვან შემდეგ შედარებას: რევოლიუცია იგულისხმებს ხანგრძლივ პროცესს (მოქმედებას—მსვლელობას) როგორც ქილაობა. როგორც ქილაობის დროს შეიძლება ხან ერთი ფლაკანი წამოიქცეს მუხლზედ, ხან მეორე და ეს კიდევ არ ნიშნავს საბოლოოთ არც დამარცხებას არც გამარჯვებას, სანამდისინ სულმთლად არ დასცემს ერთი მეორეს ზურგიით მიწაზე, ისევე რევოლიუციის დროს არის შესაძლებელი ხან ერთი მხრის წამოქცევა ხან მეორესი. ანუ თუნდა როგორც ომის დროს, ზოგიერთი სიმაგრის დატოვება და უკან დახევა არ ნიშნავს მტრის დანებებას, აგრეთვე რევოლიუციის დროს.

თუ ნათქვამის შემდეგ ჩვენ ჩავუკვირდებით მეგობარო, იმას, რაც იყო ჩვენში ამ რამოდენიმე ხნის წინეთ და რასაც ეხედავთ ახლა, ჩვენ დავინახავთ შემდეგს: თავისუფლებას სიომ

შემოიყვანს თვირანში და მეჯლისს გამარჯვინებსო, მაგრამ ამ მხრივაც უმუხთლა ბედმა, რადგან ორი სახელმწიფო—რუსეთი და ინგლისი რომლების იმედი მას ქონდა, საიმიროს ნაბიჯს არ დგამდენ, ბოლოს შეუდგა საკუთარი, შინაური საშუალებით მეჯლისისა და ენჯუმენების თავიდან მოშორებას და ძველი წესწყობილების ხელ-ახლა აღდგენას.

ჩვენს მკითხველს უნდა ვუთხრაოთ, რომ რაც რამ კარგი ჯარი ჰყავს სპარსეთს ყველა უცხოელი აფიცრების გაწრთენილია. ეს აფიცრები მოდიან შახის მიპატივებით უცხოეთიდან და იქ ჯარს უწვრთნიან მას. ასეთ აფიცრთა შორის ვინმე პოლკოვნიკი ლიხხოვი, რუსეთის ქვეშევრდომია ეს ლიხხოვი რამდენიმე წელიწადია თურმე ჯარს უწვრთნის შახს და გაუწვრთნა კიდევ ერთი სპარსელ კაზაკთა ბრიგადა. ეს ლიხხოვი დღესაც შახის სამსახურშია. სწორეთ ამ ბრიგადის საშუალებით გადასწვრიტა შახმა თვისი დიდი ხნის ოცნების სისრულეში

თავდაპირველათ ისე მოულოდნელათ და გაბედულათ დაჰბერა ჩვენს მიდამოებს; ერთობ-ბ-ს ხმამ ისე ტკილიათ და მწყობრათ ააქლერა მშრომელი ხალხის გულის ჩანგი, რომ ყველა ტანჯული და დაზარული დღევანდელი ცხოვრებით თავდავიწყებული მიეცა მას. დღევანდელი ცხოვრების პატონ-პატრონები კი, ისინი ვინც ხალხის ზურგზედ ბუქნას გადადიოდნ და მისი ნაშრომ-ნადავით განცხრომას ეძლეოდნ, სახტათ დარჩენ და ვერ გაეგოთ რას მოასწავებდა ამბოქრებული ხალხის ზღვასავით დღევა. ამიტომ ისინი კისერში მოილუნენ, თავი მოიკატუნენ და მოწიწებით თითქოს გზას უთმობდენ ხალხის წინსვლას.

მაშინ მეგობარო, რევოლიუციის პირველი ხანა იყო. ხალხი თავის თავს გამარჯვებულათ სთვლიდა და ნადავლის გაყოფას ელოდებოდა. ხომ ვახსოვს, 17 ოქტომბერი? თვით უმაღლესი მთავრობა იძულებული შეიქნა დაედასტურებინა ის, რასაც იგი მთელი თვის არსებით და მდგომარეობით, სდევნიდა და აწამებდა.

იმ დროს როდესაც ხალხი დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას, თავდაზნაურნი და სხვა გაბატონებული კლასები თანდათან ირკვეოდნ

მოყვანა, მეჯლისის განადგურება და მისთვის არა სასიამოვნო ხალხის წარმომადგენლების ამოხოცვა. საბაბი იყო საქირო. მისი მოვნაც ადვილი შეიქნა:

მეჯლისის უმრავლესობა მოითხოვდა. ძირიან ფესვიანათ უნდა განახლდეს სპარსეთი, უნდა ყველაფერი გადაკეთდეს, შახის მთავრობამ ჩვენ უნდა ჩავებააროს ანგარიში, თუ როგორ ემსახურება იგი ხალხს და როგორ გაყავს ცხოვრებაში ახალი წესებიო. შახი თავდაპირველათ, როგორც ვთქვი, დათმობის გზაზე იყო, ყველაფერში დაეთანხმა მეჯლისს, მაგრამ, როცა უკანასკნელის უმრავლესობა ამკარა, შახისა და მისი პარტიის საწინააღმდეგო მოქმედებას შეუდგა, მაშინ შახმა იმოვნადრო და წინადადება მისცა მეჯლისს, მიეცა მისთვის ყველა ის ხალხის წარმომადგენელი, რომელნიც პირდაპირ ბრძოლისკენ იწვევდენ ხალხს. ამ მოთხოვნილ პირებში ერივნენ, სხვათა შორის ორი გამოჩენილი ხალხის წარ-

და ირავმებოდენ. ხომ გახსოვს მეგობარო, თავისუფლების დროსაც რამდენი იყო თვით თქვენ სოფელში იმისთანა პირები, რომელთაც გველივით ეზიზღებოდათ თქვენი თავისუფლება. მაგრამ თავის ბრახს გულში იმარხავდენ, უცდინენ უფრო ხელსაყრელ დროს. ასეთი დრო დაუდგათ. მათ ძალა იგრძნეს. ჯარით ზურგი მოიმავრეს. და მიუსიეს ყაზახ-რუსები ისედაც აობრებულ სოფლებს; გლეხების სარჩო საბადებელი ცეცხლს ვაატანეს. რა სასტიკათ ყრილობენ ისენი დღეს ჯავრს? ხომ ხედავ აღარაფერს ინდობენ.—ამგვართ რევოლიუციის მაგივრათ გაბატონდა რეაქცია. და დღეს მის სასტიკ და შეუბრალებელ ბრძკალებს განვიცდით ჩვენ.

მაგრამ ხომ გახსოვს მეგობარო, მე გითხარი, რომ რევოლიუცია ბრძოლაა, რომელშიაც შეიძლება დროებით ხან ერთმა მხარემ გაიმარჯოს ხან მეორემ მეთქი. საკითხი იმაშია. ვის ეკუთვნის საბოლოო გამარჯვება. ვინ გაიციუნებს ბოლოს, ვისკენ არის ცხოვრების მსვლელობა და ისტორიის აუცილებლობა? ამაზედ შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ.

მოსული.

მომადგენელი — მალიქი და აბდულ-სეიდი. მეჯლისი, რათქმა უნდა, უარზე დადგა და განუცხადა შახს, რომ იგი (მეჯლისი) ხალხმა იმისთვის კი არ გამოგზავნა, რომ შახის ბრძანება ასრულებინა და მისთვის საუკეთესო წევრები მიეცა, არამედ იმისთვის, რომ სახალხო საკმე ეკეთებინა, რაზედაც ჯერჯერობით მტკიცეთ ვადგივართო. ასეთი პასუხი საკმაო იყო, რომ შახს პოლკ. ლიახოვი მიესია მისი გაწვრთნილი ბრივადით და ზარბაზნებით მეჯლისისათვის დაენგრევივნებინა მისი შენობა. ხალხის წარმომადგენელი, არც თვითონ ხალხი არ მოელოდა ასეთ ვერაგობას ახალ წესწყობილებაზე შემფიცავ შახისაგან ღ სახტად დარჩა, მაშინვე ვერ გამოვიდა პირდაპირ ქუჩაში თვისი შეილებისა და თვისი ბრძოლით მოპოებული მეჯლისის დასაცავათ, ამით შახმა უფრო კარგათ ისარგებლა, რა დაინახა, მიჰყო ხელი და ხალხის საუკეთესო წარმომადგენელი ყველანი შეიპყრო. მართალია, თვითონ თვირანში გასცა პასუხი მეჯლისის დამცველმა რაზემბმა ლიახოვის ბრივადს,

მართობა ოსმალეთში

ეხლა მინდა ოსმალეთის ამბები გავუზიარო მკითხველს. დავიწყო რა ცოტა შორიდან.

ოსმალეთი ისე, როგორც სპარსეთი, ძლევა-მოსილი სახელმწიფოა. იყო დრო, როცა იგი შიშის ზარს სცემდა სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ დღეს მას აღარ აქვს წინანდელი ძალა; იგი ძლიერ სუსტია, როგორც სიმდიდრით, ისე ჯარით. სპარსეთთან შედარებით კი გაცილებით უფრო კარგათაა მოწყობილი და სახელმწიფოებრივი, ანუ საზოგადოებრივი ცხოვრება ოსმალეთში უფრო განვითარებულია.

ოსმალეთს ევროპაში უჭირავს თითქმის მთელი ბალკანეთის ნახევარი კუნძული, აზიაში კი—მცირე-აზიის ნახევარი კუნძული, სომხეთი; ქურდისტანი, მესოპოტამია, სირია, ოსმალეთის არაბეთი და ტრიპოლის გუბერნია ანუ, როგორც ოსმალეთში იტყვიან, ვილიაიეტი. გარდა ამისა ოსმალეთის მეთაურობის ქვეშ ითვლებიან კრიტოსის კუნძული, ბოსნია, კუნძული სამოსი, ეგვიპტე აფრიკაში და ბოლგა-

ბევრი კახაკი მოუკლეს ლიახოვს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდენ. გამარჯვება ბნელ ძალებს დარჩათ. თვირანიდან ხალხისთვის თავდადებული ჰებრძოლნი გაიქცნენ, რათა სხვა ქალაქებში გამაგრებულიყვნენ და იქიდან მიეტანათ იერიში ციერ შახზე და მის დამქაშებზე. დროებით გამარჯვებულმა შახმა კი გული იჯერა სწორეთ იმ საუკეთესო ხალხის წარმომადგენლების წამებით, რომელნიც დაიპირეს მისმა დამქაშებმა და წარუდგინეს მას. ამათში იყვნენ მელიქი და აბდულ-სეიდი. ჩვენი კალამი ვერ ასწერს ამ ორი ხალხისთვის თავდადებული პირის გმირობას. როცა შახს მოახსენეს, რომ მალიქი და აბდულ-სეიდი დაქერილები მოიყვანეს თქვენს სასახლეშიო, მან ბრძანა, წარედგინათ მისთვის ის მელიქი, რომელიც მეჯლისის სხდომებზე კრიქაში უდგა შახსა, და მის მართვა-გამგეობას, და რომელიც მოურიდებლათ ააშკარავებდა შახის ბოროტ-მოქმედებებს სახელმწიფოს მართვაში. მელიქი პირში წარუდგა შახს და იქაც განუთქორა ის, რასაც მეჯლისში ამტკიცებდა. ასევე მოიქცა

რეთი. მთელს სახელმწიფოს ორი მილიონი ხუთასი ათასი ოთხკუთხი ვერსი უჭირავს და შეიცავს ოცდახუთ მილ. მეტს მცხოვრებთ, რომელთაც შეადგენენ თურქები (ოსმალები), ბერძნები, ალბანელები, სომხები, სლავიანები, ქურთები, არაბები და სხვა წვრილმანი ერები. გაბატონებულ სარწმუნოებათ ითვლება—მაჰმადის სარწმუნოება, თუმცე სამ მილიონამდე მცხოვრები მართლმადიდებელია, ყველა სომხები გრიგორიანები და სხვ.

მართვა-გამგეობა თვითმპყრობელობითია. სახელმწიფოს ერთი-ერთი, უზუნაესი და შეუზღუდველი მბრძანებელი სულთანი ანუ ხონთქარია: მას, როგორც სპარსეთის შახსა და სხვა თვითმპყრობელებს ყავს სამინისტრო, სადაც მისი ბრძანებით დანიშნული მინისტრები შედიან. სამინისტროში შედის სულ 11 მინისტრი და მთელი ოსმალეთის ეკლესიის მეთაური შეიხ-ულ-ისლამათ წოდებული. სამინისტროს თავმჯდომარეობს ყველაზე დიდი მინისტრი, რომელსაც დიდ ვეზირს ეძახიან. სულთანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მთელი ხალხის ბედ-იღბალი; მისს სასახლეს ბრწ-

აბდულ-სეიდი. შახმა ბრძანა, მელიქი ისე ეწამებინათ რომ ჯერ კაცს არ გაეგონა, აბდულ-სეიდი კი ერთი ციხის ბნელ და აყროლებულ საკანში ჩაადგებინა. მელიქმა წამოსვლის ხანს „სპარსეთის ხალხის სისხლით გამძღარი“ მიაცხა პირში შახს და, როცა გამობრუნდა, მას მიცვიდენ ჯალათები, ერთმა კისრიდან ძაღლის ჯაჭვი მოაძრო, თოკის ყულფი გადააცვა და მეორე ბოლოს გასწია, მეორე ჯალათმა ფეხებში წიხლი ჰკრა და წააქცია გულაღმა, მესამე კი მუცელზე შეახტა, ზედ ცეკვა და ხტუნაობა დაიწყო. დანარჩენებმა კი მარწუხებითა და ხანჯლებით დაუწყეს ჩხვლეტა სანამ არ ამოხდა ტანჯული სული. ყველაფერი ეს და ასეთი მრავალი მოხდა იქვე, შახის დღევანდელ საცხოვრებელ სასახლეში, საცა იგი მეჯლისის დანგრევას რომ აპირებდა, იმის დღევამი გაიქცა აჯანყების მოლოდინში. აბდულ-სეიდი კი შახის კაცებმა ციხეში მოაწამლდინეს და ძმები დავაყარეს მოკვდაო, მაგრამ მერმე ყვალაფერი გამოირკვა და გაგებულ იქნა, თუ როგორ უბრძანა ჟანდარმათა

ყინვალე პორტა ქვია. მისი მართვა-გამგეობა წმინდა მტარვალურია, ის არავის ანგარიშს არ აძლევს თავის მოქმედებაში, ოსმალეთის ტახტს იღებს მემკვიდრეობით, ხალხი წმინდა მონაა მისი და მისი კაცების, რომელთა წინამე იგი კანკალებს. სწავლა-განათლების საქმე აქაც, როგორც სპარსეთში, სამღვდლოების ხელშია, მოღვლები არიან ამ საქმის ხელმძღვანელები. მით, რატომ უნდა, ევალეობათ ხალხი მაჰმადის გადამახინჯებულ სარწმუნოებაზე აღზარდონ და უქადაგონ მალლაღმერთისა და ძირს სულთანისა და მის დამქაშების შონობა და უსიტყვო მორჩილება.

მეტათ აუტანელია გლეხ კაცის მდგომარეობა. მას მიწა ან სულ ცოტა აქვს და უფარვისი, ანა და სრულებით არა აქვს. რაც კარგი სახნავ-სათესია, ყველა იმებატონეების ხელშია, ამიტომ გლეხკაცები იძულებული არიან იჯარით აილონ ხოლმე მიწები და აუტანელი ღალა აძლიონ მემამულეებს; ვინც უშიწო და არავეთარი მიწების ჰატრანი არაა სოფლათ, მას მეტი გზა არა აქვს, მებატონეს უნდა დაუმონავდეს. აუარებელი სოფლის მუ-

ფეროსმა მისი გვამი კუბოდან ამოელოთ და დაეწვათ, რამაც დიდათ ააღლევა თვირანის ხალხი.

ამაირათ, შახმა რა დაინახა, რომ ხალხს აღარ შესძლებია თვის ბრძოლით მონაპოვების დაცვა, მიჰყო ხელი და ჯერ ყველანი ჩამოახრჩო, თუ დახვრიტა, თუ ციხეებში ჩამწყვდილა, ვინც კარგათ იცავდა ხალხის საქმეს, მერმე შეადგინა ყაზალებისა და მძარცველებისაგან „ჯარი“ და ნაწილი სხვადასხვა ქალაქებში დაგზავნა იქაური მცხოვრებლების ასაწიოკებლათ და გასაქლეთებათ, ნაწილით კი, თვისი საკუთარი სასახლე გააშავრა. ამაირათ, სპარსეთის ხალხის სასოება და იმედი, მისთვის „პურისა და თავისუფლების“ მიმცემი, მისი სისხლით მოპოებული იმეჯლისის მოსპო მტარვალის ხელმა. დღეს ამ მეჯლისის ნანგრევებში კახაკათა ცხენების ზვიზვინი და მათი შმორის სუნ-ი-ლა გაისმის. ასე მოექცა შახი ხალხის საუკეთესო კაცებს, მხოლოთ იმიტომ, რომ მათ არ მოისურვეს გამხდარიყვნენ მისი მტარვალ-ობითი წეს,წყობილების დამკანონებელნი.

შები მონებათ ყავთ მებატონე-მემამულეებს, რადგან მათ ვერ გადაიხადეს უკანასკნელია ვალეები. გადასახადები ხომ აუტანელი აწევს კისერზე. ხონთქრის „ჩინოვნებები“ ანუ ბა-ში-ბუზუეები არავითარ კანონს არ ემორჩილებიან, ისინი სრული ბატონები არიან სოფლებში, ბევრი გლეხის ცოლ-შვილი ატირდება, ბევრი წუთისოფელსაც გამოესალომება, როცა ეს მაცეცები მიუვარდებიან საწყალს, გაძვალ-ტყავებულ გადახდელ გლეხ-კაცს და გინდა თუ არა მოიტა ფულიო. იწვიათია ისეთი შემთხვევები, რომ, ერთხელ აღებული გადასახადი მეორეჯერ და მესამეჯერ არ აადრინ გლენს. მოვლენ და, თუ ფული არა გაქვს, რაც გაბადია იმას წაგართმევენ—ქათმებს, ბატებს, იხეებს, ხალოჩას, (თუ გაქვს) ტანისამოსს, ერთი სიტყვით არაფერს არ დაზოგვენ, დაუდებენ ურუმზე და ბაზარში წაიღებენ, სადაც ყველაფერს ფულათ აქცვენ. რა თქმა უნდა სახელმწიფოს ხაზინაში ანაგლეჯი ფულის შეათედიც არ შედის, ყველას ბაში-ბუზუეები და მათი დამქაშნი იჯიბავენ. ამიტომაც, რომ ოსმალეთის ხალხი გინავს

შახს ეგონა, რაკი თვირანი უკანვე დავიბრონე, მეჯლისი მოვსპე და ენჯუმენებიც გავავანადგურე, ამით სპარსეთის მთელი ხალხი ავლეგმე და ძველემური მექრთამეობა—სინდის გარეცხილობის წესი ისევ შევაცყარეო, მაგრამ ძლიერ მოსტყუედა: თვირანზე მეტათ გამაგრებული და მომზადებული აღმოჩნდა ადერბეიჯენის ქალაქი თავრიზი, თვირანიდგან საპირეთ-დასავლეთისკენ მდებარე აგერ რამდენიმე თვეა, რაც შახმა მეჯლისი მოსპო და შტუდგა აჯანყების ჩაქრობას, მაგრამ თავრიზის აჯანყებულებს ძვრაც ვერა უყო. ან რას გახდება, როცა მთელი ქალაქი გარდა ერთი უბნისა, აჯანყებულების ხედშია და იმდენი ჯარიც კი არა ჰყავს, რომ მან მოიბიროს და თავრიზის ერთ უბანში გამაგრებულ მის პარტიას მიაშველოს. მთელი ქვეყნიერება გაკვირვებულა თავრიზის აჯანყებულების თავგანწირვით სიმამაცით, მით უფრო, რომ, მაშინ, როდესაც შახის პარტიის მეთაურს თავრიზში, ვინმე რახიმ-ხანს, აჯანყებამდე განთქმულ ყაჩაღს და კაცის მკვლელს, აჯანყების შემდეგ

სახელმწიფოს ვალეებში, რომელიც მილიარდობით ითვლება. ჩვენ მკითხველს კარგათ ესმის, რომ ფუფუნება ბატონობას შეჩვეულნი, კარგს ქამასა, კარგს ჩაცმა დახურვისა და დროს ტარებაში აღზრდილნი ისე ადვილათ თავს არ აიტყებენ იმათთვის, ვინც მათი ფუფუნების წყაროა, ისინი, პირიქით, ყოველ ღონისძიებას იხმარებენ, რომ არსებული წესწყობილება ძალაში დარჩეს. მათ ბატონობას არ ექნეს დასასრული. და მართლაც, დღიდან ოსმალეთში თვითმპყრობელობის განმტკიცებისა, მთელი ძალ-ღონე გაბატონებულებისა სულთანის მეთაურობით იქითკენ იყო მიმართული, რომ ხალხს აუტანელი მუხრუქი ქონოდა გაქვდილი, გლეხ-კაცი მუდამ ბრმა იარაღი ყოფილიყო მემამულეებისა და ბატონების ხელში, სიმდიდრე-სიღარიბე მათ ღვთისაგან დანაწესებათ ეთვალათ, ეგმოთ გონების განათლება, ეგმოთ სწავლა და დღემუდამ ხონთქრისა და მისი კაცების გაჩენის დღის ლოცვაში ყოფილიყვნენ. მართალია, სულთანის ქვეყნის მბრძანებელი იყო, მართალია მან კარგათ იცოდა, რომ ოსმალეთის ხალხი ბრმაა,

კი შახის მიერ გულში ჩახუტებულსა და მისი საქმის ხელმძღვანელათ დანიშნულს, თავრიზში ყველა მდიდრები და ვაქრები მიეკედლენ და ეშველებიან, რითიც შეუძლიანთ, აჯანყებულების ბელადი, სათარ-ხანი, კაცი შესანიშნავის პატიოსნებისა და უანგაროების პატრონი, თვისი რაზმელებისა და ღარიბების დახმარებით მოქმედებს. მიუხედავთ იმისა, რომ ბრძოლა ძლიერ გამწვავებულია, რომ ქალაქში დიდი გაქირვებაა უსურსათობის გამო, ხალხის თანაგრძნობა მასაც აჯანყებულებისკენაა.

დღეს ყველას ის აკერია პირზე ვინ გაიმარჯვებს: სათარ-ხანი, თუ რახიმ-ხანი ესე-იგი შახი? გადაკრითი პასუხის მიცემა არც ჩვენ შეგვიძლია, თუმცა-ღა ბევრი ნიშნებია იმისა, რომ სათარ-ხანი დარჩება გამარჯვებული. ეს რომ ასეა, ამას ისიც ამტკიცებს, სხვათა შორის, რომ თვირანსა და დანარჩენ ქალაქებში მოძრაობა ღვივდება, შახი ვერ უსრულებს დანაპირებს რახიმ-ხანს ჯარს მოგაშველებო. მართალია გაუგზავნა ყაჩაღთა

მას არ ემისი თავისი უფლებები, და მაშასადამე, ბატონებს ჯერ შეუძლიათ უშიშრათ იპარპაშონ ხალხის ზურგზე, აძრონ მას აუტანელი გადასახადები და გარყენილება კეიფში ატარონ დრო, მაგრამ სულთანის გული მინც საგულეს ვერ იყო, მას წამ და უწუმ ელანდებოდა სასახლის ღალატი, ხალხის აჯანყება, აფეთქება და სხ. ასეთია სულიერი განწყობილება ყველა ისეთი კაცებისა, რომელსაც უსინდისოთ, გაიძვერულათ მოუტყუილებია ვინმე, წაურთმევია მისთვის ყველაფერი, ნამუსიცი კი აუხდია, თვითონ გაბატონებულა და კისერში ჩასჯდომია მის მიერ გათელილს. ასეთია სულთანის სულის განწყობილება, როგორც ყოველი თვითმპყრობელი მეფისა: მათ გარეგნულათ დიდი ყოყოჩით მოაქეთ თავი, ყველგან—წიგნებში, ქუჩებში, ეკლესიებში იმას გაიძახიან ღმერთმა მოგივლინათ თქვენ (ხალხს) ჩენი თავიო, მაგრამ იციან რა კარგათ რაშია ცარი საქმე, მუდამ შიშში არიან—ვაი თუ ერთხელაც შეიგნოს ჩვენ მიერ გათელილმა ხალხმა და სულ ვაი გვაძახოსო.

ბრბოსაგან შემდგარი რაზმი, მაგრამ მან ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი და ფეხებზე დაიკიდა შენი შახი და მისი პარტია. კიდევაც რომ მიაშეკლოს შახმა თავისი გაწვრთნილი სალდათები, ძლიერ საექვეა, რომ ისინი რახიმ-ხანს შეუერთდენ—უფრო შესაძლებელია, რომ სათარ-ხანის მხარეზე გადავლენ, რაც იქიდან სჩანს სხვათა შორის, რომ ამას წინათ, როგორც განეთები სწერდენ, ერთ სალდათს ყუმბარაც კი ესროლა შახისთვის, მაგრამ აეცლინა და დანარჩენი სალდათების შემწეობით გადამაღულიყო. ვნახოთ რა იქნება. დღეს კი ასეა: სპარსეთის ბელ-ილბალს განაგებს ნამდვილათ ვინმე ემირ ქენგი, კაცი ველური და წმინდა მხეცი, რომელიც ყოველ საშუალებას ხმარობს, შახს აღარ მოაწვევინოს სრულებით მეჯლისი და სავსებით აღადგინოს ძველი „ბედნიერი“ წეს-წყობილება, როცა სიმხეცე და ვერაგობა იყო ერთად-ერთი ბატონი სპარსეთისა. დავაცადოთ ცხოვრებას და იგი აღმოგვიჩენს ქემპარტებას.

ხალხის შვილი.

ოსმალეთის ხონთქრებიც ანაირათ ეტიკობდენ და ხალხის ზურგზე ანაგლეჯ მილიონებს თითქმის სულ იმას ანდომებდენ, რომ იჩენდენ საგანგებო კაცებს, რომელნიც თვალყურს ადევნებენ, როგორც შიგ სახლებში, ისე გარეთ ხალხში არავინ არაფერი გაბედოს არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგო. თუ ვინმეს მოასწრებდენ, ვაი მისი ბრალი, იმ წამსვე წუთისოფელს გამოასაღებდენ, ან და სამუდამოთ ჩაასაკნებდენ. სულთანის ხონთქრებში ამ მხრივ ყველაზე დიდი უნარი ეხლანდელმა აბდულ-ჰამიდმა გამოიჩინა. აგერ 32 წელიწადია, რაც იგი ბრძანებლობს ოსმალეთში და უბედურ ოსმალეთის ხალხს ერთი შხის სინათლისთვის კარგათ არ შეუხედავს. ერთმა გამოჩენილმა უცხოელმა, სახელმწიფო სამსახურის კაცმა პირდაპირ სახალხოთ უწოდა მას „დიდებული კაცის მკვლელი“. მართლაც ეს 32 წ. ოსმალეთის ხალხს თვალზე ტრემლი არ შემრობია, მისი სიცოცხლე გაბმული ჯოჯოხეთი იყო. ამ სისხლის მსმელობა ადამიანის სისხლით მოსვარა ოსმალეთის მინდორ-ველი და ქალაქების ქუჩები, მან იმთავითვე ამუშავა სახრზობელა და სთქვა, ვინც ჩემსა და ჩემი კაცების საწინააღმდეგო რამეს განიზრახებს, ყველანი ამისთვის სახრზობელაზე ჰპოვებენ „განსვენებასო“. მან ჯაშუშთა ბანაკათ აქცია საკუთარი სასახლე, ჯაშუშებით გაავსო მთელი ოსმალეთი, აღურბელი ჯაშუშებით მოჰფინა საზღვარ-გარეთს, სადაც მას მისი ხალხის სისხლით მოსვრილი ტახტის მტრები ეგულებოდა, სადაც საუკუნოებით დევნილ-გვემული ოსმალეთის ხალხის მოსარჩელე და მსევური ელანდებოდა. მისმა და მისი მოადგილეების მართვა-გამგეობამ გაათახსინრა ოდესლაც ძლიერი სახემწიფო, მათმა მტაცებლურმა წეს-წყობილებამ დასცა იგი და მიწასთან გაასწორა: არა განათლებულა ხალხი, არა სწავლა-განათლებავ, არა ჯარო, არა სიმდიდრე—ერთი სიტყვით ოსმალეთის სახელმწიფო ერთგვარ ჩონჩხს წარმოადგენდა, რომელშიდაც, რაღაც მანქანებით, კიდევ ძვერდა სახელმწიფოს გული და აი, როცა ეხლანდელი სახელმწიფოს მოადგლე გარდაიცვალა, სახელმწიფოს ანაირი მდგომარეობით მოთმინებიდან გამოსული ზოგიერთი წრეები მცხოვ-

რებლებისა და მათში ბევრი განათლებული კაცები ერთსულოვანი იერიშით მივიდნენ არსებულ წეს-წყობილებაზე, თვითმპყრობელობაზე; ქვეყნის დამღუბველათ ის აღიარეს და მოითხოვეს ახალი სულთანის ღწევანდელი აბდულ-ჰამიდისაგან ხალხის წარმომადგენლებისთვის გადაცემა ნაწილი თავისი უფლებებისა, მათი კრება მოეწვია და მათთან ერთათ გასძლოლოდა სახელმწიფოს, რომელიც წინამდებ შემთხვევაში, უცხოელი სახელმწიფოების ლუკმა შეიქნებოდა, მაშინ ისეთი დრო იყო, რომ აბდულ-ჰამიდი, მართლაც ტახტზე ასვლისას თითქოს დათმობის გზას დაადგო და 1876 წ. გამოსცა წესები შესახებ ხალხის წარმომადგენლების არჩევისა. ამ წესებით ხალხის ამომრჩეველთა კრება ანუ, როგორც მეცნიერულათ ეძახიან ხოლომე, პარლამენტს, შეიკრებებოდა და, გაარკვევდა რა ხალხის ქირვარამს, საჭირო მალამოს გამოუნახავდა მის კრილობას, იმუშავებდა სახელმწიფოსათვის წყლულებისაგან განკურნავზე. ასეც მოხდა: მოიყარეს ხალხის წარმომადგენლებმა თავი, მათ რიცხვში, მართლაც ბევრი განსწავლული პირებიც ერია, რომელთაც ერთხმით დაჰმესძველი წესები და აღიარეს, რომ სახელმწიფოს გასაჯანმრთელებლათ ძირიან-ფესვიანი განახლება საჭიროა. რაღა გასაკვირველია ძირიან-ფესვიანათ სახელმწიფოს გარდაქმნა აბდულ-ჰამიდის არ მოსწონებოდა, იგი ტახტზე იმიტომ ხომ არ ასულა, რომ იქიდან სიმართლისა და კანონიერების დარაჯი ყოფილიყო, მისი მიზანი იყო განუსაზღვრელი ბატონობა და, თუ ერთის წუთით დაუთმო ხალხის მესვეურებს, ეს მერმე ისუღელეთ აღიარა, ხალხის წარმომადგენლები ჯერ დროებით დაითხოვა და მერმე ხელახლა მოიწვია, მართალია, მაგრამ რა დაინახა, ხალხის წარმომადგენლობა მისკენ არაფერს ამბობდა და ხალხისკენ კი იწეოდა, აიღო და სულ დაითხოვა იგი ისე, რომ არც კი სთქვა, მოიწვევდა თუ არა მას კიდევ როდისმე. ხალხის წარმომადგენლობა რომ მოეწყო, მაშინ შესაფერი კანონებიც იყო გამოცემული. ამ კანონის კრებულში, სხვათა შორის, ისეთი მუხლიც ერია, რომელიც სულთანს ნებას აძლევდა, როცა მოისურვებდა, მაშინ დაეთხოვა წარ-

მომადგენელთა კრება და მოეწვია იგი მაშინ, როცა საჭიროთ დაინახავდა, სწორეთ ამ მუხლში ნათლათ გამოიხატა, ხონთქრის მძლეთამძლეობა და ხალხის უძლურება. სწორეთ ეს მუხლი დაღაღებდა იმაზე, რომ ხალხი ჯერ არ მოღონიერებულა, იგი ჯერ უმეტარია და, თუ რამე კარგი უნდათ გააკეთონ, ეს მხოლოთ განათლებული კაცების ჯგუფების, ამ ხალხის მოყვარეების საქმეჲ, რომ ხალხის ფართო წრეებს არც კი ესმით ჯერჯერობით ვინაა მათი გატყავებისა და გაათახსირების მიზეზი.

სწორეთ ამისთვის იყო, რომ ხალხმა ყურით არ გააპარტყურა, როცა აბდულ-ჰამიდმა მისი წარმომადგენლები გამოაპანჩურა. ეს იყო და ეს. მას მერმე 33 წ. გავიდა, მაგრამ ოსმალეთის მბრძანებელს „საჭიროთ არ დაუნახავს“, ხალხის წარმომადგენელთა კრება—პარლამენტი მოეწვია. პირიქით, მან მთელი თავის ძაღლონე სწორეთ ამისთანა აზრებთან ბრძოლას შეაღია. მაშინდელი წარმომადგენლობის კანონების დამწერ-შემთხვეელი ჯერ დააქერინა და მერმე სამშობლოდან გააძევა, წარმომადგენლები ზოგი ციხეში ჩასვა, ზოგმა გაქცევით უშველა თავს. აი აქედან იწყება ის საშინელება ოსმალეთში, რასაც აბდულ-ჰამიდის ამ „ავათმყოფ აღმიანათ“ მიჩნეულის მართვამეგობა ქვია. მან ცეცხლითა და მახვილით გააწყო ხალხის სინსილა, მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ მის სამფლობელოში, მაჰმადიანებთან ერთათ ქრისტიანებიც (უმეტესათ სომხები) ცხოვრებენ, რომ ორივე ერის ფართო წრეები ჯერ კიდევ ბნელია, ჩამოავდო მათ შორის სარწმუნოების ნიადაგზე მტრობა, მისი ერთგული კაცები მაჰმადიანებს ჩასძახოდენ, მიესიეთ ქრისტიანებს, მაგ გიაურებს, ამოხოცეთ მაგენი და თქვენ დაგრაჩებთ მაგათი ქონებაო, ქრისტიანებს მაჰმადიანებზე უსინებდენ და ასე ამგვარათ მზადდებოდა ის შტამპარწუნებელი ამბავი, რომელიც 1896 წ. თავზე დაატყდა ოსმალეთის სომხობას, როცა მთავრობის კაცებისაგან წათამამებული მაჰმადიანები მიესიენენ სომხებს და ერთიანათ გაულიტეს იგინი. ატყდა ერთი ტირილი და ქმთინი დაჟლეტილთა ბანაკში, დამკლეტნი კი, გათამამებულნი თავიანთი გამარჯვებით არ სცხრებოდენ და სისხლის სმის მადაზე მოსული

მათი ბრბოები სიმხეცეს სიმხეცეზე სჩადიოდენ. ხონთქარი კი თავისი ბაში-ბუზუყებითა და დამქაშებით განცხრომას ეძლეოდენ თავიანთ პარამხანაში და მათს ნეტარებას საზღვარი არა ჰქონდა. მხოლოთ განათლებული კაცობრიობისა და უფრო მოწინავე სახელმწიფოების საქმეში ჩარევამ ჩაადებინა აბდულ-ჰამიდის ბრბოს ხალხის სისხლით მოსვრილი, მურტალი მახვილი ქარქაშში. ასეთი იყო პირველი და ძლიერი ზომა აბდულ-ჰამიდისა, მიმართული სომხების, როგორც ყველა დანარჩენ ერებზე უფრო განათლებულების და, მაშასადამე, მტარვალობის დაუძინებელი მტრების, წინააღმდეგ. ამით სულთანს სურდა შეეჩერებინა იმ სახალხო მოძრაობის დასაწყისი, რომელიც დაბოლოს მას რისხვით დაატყდა თავზე. ეს იმნაირი ზომა იყო, რომელსაც რუსეთის ბატონ-პატრონებმა მიმართეს აქ ჩვენში, მიუსიეს თათრების ბნელი ბრბო სომხობას და მათს სისხლში მოუნდომეს კავკასიის მუშებისა და გლეხ-კაცების ძლევამოსილ მის წინააღმდეგ ბრძოლის ჩახრჩობა. მაგრამ ეს იმდენი არაფერი. მე თქვენ გაგაცნობთ ისეთ ზომებს, რომელნიც იქნება ზღაპარი გეგონათ, მაგრამ საუბედუროთ საშინელი სიმართლე კია.—ამაზედ შემდეგ.

ხალხის შვილი.



ზოგიერთი მოსაზრებანი მომხმარებელ (კოოპერატიულ) საზოგადოებათა უმსახემა.

მუშათა მოძრაობის მხოლოთ ერთ ფორმას უდგია დღეს სული ლეგალურათ (ნებადართულათ) არსებობისათვის. არამც თუ პოლიტიკური ჯგუფები, მუშათა კავშირებიც კი (პროფესიონალური) რეაქციის ისეთ ქაზრაკში ჩავარდნენ, რომ იძულებული არიან ისევ ძველს მივიწყებულ სარდაფს დაუბრუნდნენ და მალულათ იმოქმედონ. მაგრამ ხალხის შეგნება, უმრავლესობის უკუნეთ ძილისაგან გამოფხიზლება ვერ ურიგდება ასეთ პირობებს, იგი ძალადობს, ვერ ჩერდება ერთ ღონეზე და ახალსა და ახალს საშეაღებებს იგანებს ცხოვრე-

ბის პირობების გასაუმჯობესებლათ. საშინლათ შევიწროებულმა და დევნილმა თავის ცხოვრების ნიეთიერ პირობების გასაუმჯობესებლათ მიმართულ მოქმედებაში, მუშა კაცმა ახლა მოძრაობის ახალ ფორმასაც მოკიდა ხელი, იგი ვგრეთ წოდებულ კოოპერატიულ მოძრაობაში ჩაება.

თუ რას ქვია კოოპერატიული მოძრაობა, ან რაში გამოიხატება იგი, ამის ახსნას და განმარტებას ჩვენ აქ არ შეუდგებით და თუ მოვახერხეთ შემდეგ უფრო ვრცლათ მოველაპარაკებოთ მკითხველს ამის შესახებ.

კოოპერატიულ მოძრაობის სხვადასხვა ფორმებში ყველაზე უფრო ადვილი მოსახერხებელი და სახეიროც არის მომხმარებელი საზოგადოების დაარსება. მართლაც, რუსეთში ამ ბოლო დროს ძლიერ ეტანებთან კოოპერატიულ ხასიათის მომხმარებელ საზოგადოებათა — დაარსებას. „ერთობის“ ძალა ახლა ყველამ შეიგნო, ამიტომ კოოპერატიულ საზოგადოებას — სავაქროა იგი თუ საწარმოვო, — როგორც წერილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, ისე მუშები და გლეხებიც აარსებენ. ჩვენშიაც აქა იქ არსდება კოოპერატივები. ჩვენი ვალა მხარი დაუჭიროთ ამ სასურველ მოვლენას: იქნება ამ დაბეჩავებულ დროში მოძრაობის ამ ფორმამ იმდენათ მაინც იხეიროს, რომ გულგატეხილ მუშას და განსაკუთრებით გლეხს სულ არ დაავიწყდეს ერთობის ძალა, სულ აღარ შეაწყვეტინოს „ერთობასთან“ კავშირი. თქმა საჭირო არ არის მგონი, რომ ჩვენი ღუბჭირი პირობები საშინელ ღოდათ დააწვებიან კოოპერატივების საქმესაც, მაგრამ თუ ამ საქმის ხელმძღვანელნი და მოთავენი საქმის ცოდნასა და გამჭირახობას გამოიჩენენ, ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ მომხმარებელი საზოგადოება დღევანდელ პირობებში ჩვენს სოფლებშიაც იმდენათ მაინც იხეირებს, რომ ცოტადენი კავშირი შეანარჩუნოს ახლა დაქსასულ გლეხობას. ხოლო რომ ნიეთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის მომხმარებელ საზოგადოებას სოფლათ, სადაც ვაქარბაცაცა გასატყავებლათ ჩასდგომია მცხოვრებლებს, დიდი მნიშვნელობა ექნება; ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საუბედუროთ, ყოველი ახალი საქმე შეც-

თომებით არის სავსე. ამიტომ ღიდი სიფრთხილე გვეკირია დღეს, როცა სოფელი მეტათ გულგატეხილია ახლობელ წარსულით, რომ ამ ახალ საქმეს სოფელში სახელი არ გაუტყდეს და ისედაც გულგატეხილ გლესს ერთობით მოქმედების შეწყობის და შეჩვევის მიგვიერ, სულ არ აუცრუოთ გული.

როგორც წინათ ვსთქვით, მომხმარებელ საზოგადოების დაარსება ადვილი მოსახერხებელია. ამიტომ უფრო ხშირათ ახალგაზრდა კოოპერატივები მომხმარებელ საზოგადოების დაარსებას ეტანებიან ხოლმე. ეს ასეც სჯობს. მაგრამ ერთი რამ აუცილებლათ უნდა გვახსოვდეს, როცა მომხმარებელ საზოგადოებას ვაარსებთ. ჩვენ კაპიტალისტურ ხანაში ვცხოვრობთ, ე. ი. ჩვენ დროში კაპიტალს, ფულს უჭირავს უპირველესი ადგილი, როგორც წარმოების, ისე ვაჭრობის ყოველგვარ დარგში. მუდამ ის ქარხნის პატრონი უფრო მდიდრდება, რომელსაც მეტი ფული, კაპიტალი, შეუძლია ჩასდოს წარმოებაში; იმ ვაჭარს შეუძლია იქონიოს იმედი, რომ გაუძღვება კრიზისებს და არ გაკოტრდება, რომელსაც დიდი სიმდიდრე, დიდი ფული აქვს და პატარა ზარალი ვერ გატეხს წელში. მომხმარებელი საზოგადოებაც, როგორც სავაჭრო დაწესებულება, ამ კანონს ემორჩილება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ახლად დაარსებულ დამხმარებელ საზოგადოებას სად ექნება თავისი ჯიბის იმედი იმდენათ, რომ საქონლის გაუსაღებლობისა ან კრიზისების (ვაჭრობის შეჩერების) არ შეეშინოს? მისი იმედი ერთიანათ დაყრდნობილია მომხმარებელზე, ე. ი. თავის წევრებზე. მომხმარებლებზედ საზოგადოება არ უნ ა იყოს დამოკიდებული შემთხვევით მყიდველზე, როგორც ყოველი სავაჭრო კერძო დაწესებულება; იგი უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს ყოველი შემთხვევაში საკმაო მყიდველთა რცხვით. ეს აუცილებლათ უნდა გვახსოვდეს ჩვენ, როცა მომხმარებელ საზოგადოებას ვაარსებთ. აქ არის დამალული ერთი იმ უმთავრეს ღირსებათაგანი, რომლის საშუალებით დღევანდელ — კაპიტალისტურ წესწყობილებაში კოოპერატიულ სავაჭროს შეუძლია დასძლიოს კერძო მოვაჭრეთა მეტოქეობა.

მომხმარებელ საზოგადოებას უსათუოთ იმე-

დი უნდა ჰქონდეს, რომ შეძენილ საქონელს წევრები უექველათ გაუსაღებენ, ხოლო გარეშე მყიდველს უნდა უტკეროდეს იგი, როგორც შემთხვევით მოსულს და შემთხვევით მოტანილ მოგებას. მართალია, მომხმარებელი საზოგადოება თუ კი ის პირნათლათ ემსახურება თავის დანიშნულებას, ბევრს გარეშე მყიდველსაც მიიზიდავს მაკრამ ამან ჩვენ თავის დღეში არ უნდა გაგვიტაცოს იმდენათ, რომ გარეშე და შემთხვევითი მყიდველთა იმედით ვაჭრობა ფართო ნიადაგზე დავეყნოთ და კოოპერატივის მომავალი საფრთხეში ჩავაგდოთ.

მაისათვის, საქმის დაწყების წინ ჩვენ აუცილებლათ უნდა გამოვიანგარიშოთ, შეუძლია ჩვენმა მომხმარებელ საზოგადოებამ ისულდგმულოს და იხიროს წევრების იმედი, თუ არა და საკმაო იქნება საქმის დასაწყისად შეგროვილი საწევრო ფული, თუ არა. თუ საქმე საექეოა, სჯობს დავიცადოთ, თანხა გავადიდოთ და საფრთხეში თავი არ ჩავიგდოთ და ჩვენ კოოპერატივით გატაცებულ გლეხებს თუ მუშებს გული არ გაუტეხოთ იმედების გაცრუებით. ყოველივე ამის ვასაგებათ კი საქიროა, შემდეგი გამოანგარიშება, რაც გამოცდილ პირების აზრით თავდები იქნება იმის, რომ მომხმარებელ საზოგადოებამ უნდა იხიროს.

უპირველესათ ყოვლისა, ჩვენ უნდა გავიგოთ რამდენს საქონელს იყიდის წლის განმავლობაში შუათანა ოჯახის პატრონი-წევრი ჩვენი მომხმარებელ საზოგადოებისა. სიფრთხილისათვის ჩვენ ნაკლები უნდა ვიანგარიშოთ (ასე სამი მეოთხედი) იმის, რაც ჩვენის აზრით დასჭირდება თვითეულ წევრს. ეს უნდა განვამრავლოთ წევრების რიცხვზე და ჩვენ დაახლოვებით გვეცადინება, თუ რამდენი ფული უვდა დაბრუნდეს წლიურათ ჩვენს (სავაჭროში. ავიღოთ მაგალითად. ვსთქვათ, ჩვენ გვყავს 100 წევრი; თვითეული ამათგანი შუათანა რიცხვით იყიდის წელიწადში 50 მან. სხვა და სხვა საქონელს ჩვენს სავაჭროში. ცხადია, ჩვენს სავაჭროში წლიდან წლამდის უკანასკნელი ხუთი ათასი (5000 მან) მანეთი უნდა დატრიალდეს, რომ წევრების მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ. საწევრო გადასახადი კი ათი მანეთია და საქმის დაწყებისას სულ 1000


მან. მოგროვდება ასი წვერიდან. ამ ათას მანათიდან 100 მან უკანასკნელი კიდევ საეკროს მოსაწყობათ დაგვირდება: ეს დახლიო, ეს სასწორი, ეს თაროებიო და სხვ. ამისთანები—ამას ხომ სახლის პატრონი არ გავვიკეთებს? დაგვიჩება 900 მან. რაღას გვიშველის ეს ფული, თუ აუცილებელი მოთხოვნილება წლიურათ 5000 მან. აღის? ვაქრობაში გამოცდილ პირებს უნდა მივმართოთ. ესენი ამბობენ, რომ თუ ვაქრობა ნაღდზე წარმოებს (მომხმარებელ საზოგადოებაში კი ვაქრობა უსათუოთ ნაღდზე უნდა სწარმოებდეს, თუ გვინდა საქმემ იხიროს), ძირითადი თანხა 7-15 ჯერ დატრიალდება წლის განმავლობაში. მაშასადამე ჩვენც თამაშათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი 900 მან. ათჯერ მაინც დაბრუნდება წელიწადში, ე. ი. ჩვენ ხელში ერთი წლის განმავლობაში ცხრა ათასი (9000 მან.) მან. გამოვიღის. ჩვენ კი სულ 5000 მან. გვჭირია აუცილებლათ. როცა გამოვიანგარიშებთ, რომ დაბრკოლება ამ მხრივაც დაძლეულია, საქირია გამოვიანგარიშოთ: მართლა რომ ჩვენი საზოგადოების წევრების მეტმა არაიენ რიდოს ჩვენს საეკროში და 5000 მან. მეტი საქონელი არ დატრიალდეს, დაგვიტოვებს ეს რაიმე მოგებას თუ არა? ვაი თუ ხარჯიც ვერ დავფაროთ? გამოანგარიშებულია, რომ როცა მოვაქრე ერთბაშათ, ნარდათ ყიდულობს საქონელს და მერე წვრილ-წვრილათ ზომიერ ფასებში ყიდის, ის 10-15⁰/₀ (პროცენტს) იგებს, ე. ი. რამდენ მანეთის საქონელს იყიდის ნარდათ, იმდენს მანეთზე 10-15 კაპ. მოიგებს ამ საქონლით წვრილათ გაყიდვის დროს. თუ ჩვენ 5000 მან. საქონელი ვიყიდეთ და მერე ვაყიდეთ (მომხმარებელის საზოგადოებაც ხომ ნაქრობით არ იყიდის, იმას შეუძლია ნარდათ იყიდოს საქონელი) მოვიგებთ წლიურათ, შუათანა რიცხვით, რომ მანეთზე 12 კაპ. ვიანგარიშოთ, 600 მან. მაგრამ ეს ხომ ჩვენი უკანასკნელი შემოსავალია? მერე განა შესაძლებელია, რომ მომხმარებელ საზოგადოებაში, თუ ის თავის დანიშნულებას შესაფერათ აწარმოებს, გარეშე პირებმა არ ივაჭონ? რაც ამ სახით ვაიციდება, იმაზე მონაგები კიდევ ზედმეტი იქნება. თუ ჩვენ ხარჯებს ე. ი. სახლის ქირას, ნაქრების

ჯამაგირს, განათებას, გათბობას და სხვა წერილობანებს ეს ნაფარაუდვეი 600 მან. უკვე ფარავს, ჩვენ მაშინ თამაშათ შეგვიძლია მომხმარებელ საზოგადოების საეკრო გავსნათ, სრულიად დაიმედებულნი, რომ საქმე საფუძვლიანათ არის დაწყებული და სწორ გზაზე დგას.

მოსკოვის (ქალაქია რუსეთში) მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი, რომელიც დიდი ხანია (1898 წლიდან) ხელმძღვანელობას უწევს ბევრ მომხმარებელ საზოგადოებებს და, რომელიც 1907 წლ. სექტემბერში 191 მომხ. საზოგადოებას აერთებდა, კავშირის სახელით გამოცემულ ერთ ფურცელში ამბობს, რომ ზემოთ მოყვანილი გამოანგარიშება უსათუოთ მხედველობაში უნდა მიიღონ საზოგადოების დამაარსებლებმა საქმის დაწყების წინ, თუ არ უნდათ გზა აზნულათ და წინდაუხედავით შეუდგენ საქმეს. ჩვენც დაბეჯითებით ვურჩევთ ყველას, ვისაც გულში აქვს ან ახალი დაწყებული აქეთ ეს სიმპატიურა საქმე სხვა პრაქტიკულ მოსაზრებასთან ერთად ეს ანგარიშიც სახეში იქონიონ ხოლმე.

უნდა გვეხსოვდეს მუდამ, რომ ყოველგვარ საეკრო თუ საწარმოეო საქმის ქვაკუთხედს ანგარიში შეადგენს. მით უფრო ანგარიშის სწორათ დაყენება და ანგარიშის მხრით საქმის გათვლისწინება საქირია საერთო საქმეში და უმეტეს იმ საერთო საქმეში, რომელშიც ნივთიერთად დაინტერესებული იქნება ჩვენი გაძვალტყავებული და გულგატეხილი გლეხი.

კ. — კი.



სოფლათ.
(ჩვენში.)

—:—

ს. ჩანჩხარო (დუშეთის მაზრა). აგერ ორმოცა წელიწადია რაც კენიან ქაოეკან ამილახვრის მამულზე ცხოვრობენ ხაზნათ ცაქეთი კომლი გლეხები. — ჭკბისაშვილება, მედლოვადება და მუზაშვილი. დღეს კი დასახლებულა კენიან კუნი-

ბა გლეხებს: აიუარებით ჩემი მამულიდგან და წადითო. როცა გლეხები შეეკითხნენ მიწეზს, კენინამ უხასუხა თქვენ არ იძლევით სკამო დღასოა ია თუ მომცემთ მოსავლიდგან მეოთხედს კომლზედ, სხლდის ალაგის ქირათ სამ მანეთს, სკვენ შეშაზედ 3 მ; თითო სულ საქონელზედ—50 კ. მ'ოლო ღორზედ და თხაზედ მეხუთედს - დარჩითო. გლეხებმა რასავიფიქრებია ასეთ ზირობებზედ უარო განაცხადეს. კენინამ მიმართა ზნისტავს, რომელიც ეწვია თიბათვის 20-ში თავისი ამალით ჩვენ სოფელს და უბრძანა გლეხებს: ან გადახდეთ წელიწადში ეს ზემოთ ჩამოთვლილი მასებუბა (დალა) ან აიუარებით და წადით სდაც გინდათო. ვადა მისცეს მარამობის თვის ცასვლაზედ. დაღონებული გლეხები არიან ერთ ცასვარში, არ იციან სდა გადასხლდენ. ნეტა ამ კენინამ ვინდა უნდა, დასახლდეს იმ უდაბურ მთაში, ან ვინ მიხრემთ ამათზედ მეტს?

ზახორის საზოგადოება (დუშითოს მასრა). გამოჩენილმა შემამულე გლეხმა ზველე მუხაშვილმა გლეხების გაუფლავა-შევიწროვებაში თვით ცნობილ შემამულეებსაც კი (გიორგი ავილახვარი) გადაატარა. ვინც იმის მიწებში მოხნავს ნახევარ მოსავალს ართმევს, თუ არ მისცეს და ვაი იმათი ბრალი ამას წინეთ ერთ გლეხს მოხნულ დათესილი მიწა წაართვა, რადგან მოსავლის ნახევრის მიცემასზედ უარი უთხრა გლეხმა და თვითონ მიასკუთრა. თუ ვისმეს მოასწრო ზველემ თავის ტუქში, ან საქონელი ნახა თავის სძოვარში იტერს და ამწვედევს, და სანამ სულზედ ხუთ მანეთს არ მისცემენ არ ანებებს დამწვედევულ საქონელს. ამას წინათ კაკოლა ქერტუაშვილის ცხენი დაჭირდა და სანამ ხუთი მანეთი არ გადახლდევინა, არ დაანება. საწელი ხალხი იძხვის ისევ გვერხივან თავადი შემამულე იმიტომ, ის შორს მანინ იყო, წელიწადში ერთხელ დავინახავდით, დანარჩენ დროს როგორც გვინდოდა ისე ვამარბდით იმის მამულეებსა, ეს მუხაშვილი კი ჩვენი მეზობელია, მუდამ კარებზე ვეხდება და მოსვენებას არ გ'ძლევისო.

სოფლელი მუშა.

ს. მოხიხი (გორის მასრა). ჩვენ სოფელს ბევრი მსარცველ მეფლეველი გაუჩნდა, ნამეტნავათ მას შემდეგ, რაც რაქციამ და ბნელმა ძალებმა თავი იჩინეს. უგელაზედ უფრო თავი იხსნელა

აქაურმა მებატონემ ბ. მიტო ცინციშვილმა. წინა წლებში დღიურ მიწაზედ ის ორ კოდს და ორ ჩანახს ართმევდა, ახლა კი ოთხ კოდს ართმევს, თუმცა სოციალური მიწა დღიურზედ ოთხ კოდს არც კი იძლევა. ამასთანვე სოფლადავში ცარიელ მიწებსაც უთვლის გადატაკებული გლეხები ესველებიან შეუმიწროს დალა, მაგრამ თქვენც არ მოვიკვლო. ბ ცინციშვილი შემიტყობის მაგიერ ეგზეკუციით ემუქრებათ. რას იხამთ, ნათქვამია „დრონი შეუფობო“.

დროებით მოხიხელი.

ველისციხე. ველისციხე, თუმცა სოფელია, მაგრამ თავის სივრცით და ფაქტობით სხვა ჩვენებურ ქალაქებს არ ჩამოუვარდება. ეს ამოღწის სოფელი ხარჯს იხდის ექიმის ჯამაგირისთვის და საავთანუფოფოს სახლისთვის, მაგრამ ისეთი აფთიაქი გვაქვს რომ, ბევრი წამალი არ მოიხატება და რაც არის იმასაც თავის დროზე და დანიშნულეობისამებრ ვერ ვიიღებთ.

ხალხი შევიწროებულია ეახლებსგან. თავით ღვინო, ეს ერთად ერთი საცნოვრებელი, ვერ ეუიდებათ ჩვენს ხალხს და თუ ვისზე კიდევ გახნია რამე—ისიც ამ ავსაკადს მიაქვთ. ამ მოკლე ხანში გადაცრევეს ვეანში მომუშავე გლეხი ნიკო ჩეფურაშვილი და ნსყიდა თამბურაშელი. მას წინათ კიდევ ხუთი დედაკაცი გაიტაცეს ს. ავაკაში. ხალხი იქამდის დამინდა, რომ კარში ვეღარ გასულა საშუაოთ, ნამეტნავათ კიდევ ქალები. არ ვიცო რა გვეშეულება—ვისიც ჯერ არს თუ არ შეუძლიათ ამ ცარცკა გლეჯას მოკვადილოს, ჩვენ მანინ მოკვებენ ახრალი და ისევ ჩვენ მოუფლით ჩვენ თავს, —თორემ დანა აღარ შეგვაჩინეს სახლებში დ ეახლებს კი რამდენიც განაქვით ახრალი. იქამდის გადახეიდნენ, რომ აკენტები ჭყავთ სოფლებში. ეს აკენტები ეოველისფერს თავისდროზე ატეობინებენ მათ და ისინიც და ავარდობენ სოფლებში.

„მეთვალყურე“



საქონალური განყოფილება

გ ა მ ო ს ა ლ მ ე ნ ი ც ნ ო ზ ა ნ ი

ტყის მნიშვნელობა

ტყის მრავალგვარი მნიშვნელობა ადამიანის სიცოცხლეში, აკვნიდან მოყოლებული კუბოს ფიცრამდე, იმდენად აშკარაა, რომ ამაზე ბაასი თითქმის მეტიც უნდა იყოს. შემჩნეულია და გამოკვლეული, რომ ტყეების გაკაფვა — ამოგდებასთან ერთად მეურნეობაც თანდათან ეცემა და ხალხი ღარიბდება. და რომელმა გლეხმა-მეურნემ არ იცის, თუ რა ძნელია უტყეობა. ტყე ზამთრობით იკავებს და ფხას სტეხს ქარს, ამიტომ ტყიან ადგილებში, ბევრით იშვიათია ნაძვები, ვიდრე უტყეო ბარში, სადაც ქარი წამოჰგვის ხოლომე ნათეს მინდვრების საზამთრო სახურავს—თოვს და ამის გამო ჯგჯილი ვეღარ უძლებს ყინვას-სიცივეს და ფუჭდება—იძრება. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ტყიან ადგილებში სეტყვაც იშვიათია. ტყე აგრეთვე ჰაერიდან იზიდავს ნაჰს, როგორც ღრუბელი და ინახავს დიდინით სინოტივეს, სწორედ ამით აიხსნება, რომ ტყიან ადგილებში ყოველთვის უხვადაა წყარო-რუები და მდინარები. ტყის ახლო-მახლო ჰაერიც ყოველთვის ნესტიანია და ამიტომ, იმგვარ ადგილებში, ზაფხულობით ხშირია წვიმები და ზამთრობით თოვლი. ტყეებში თოვლი დნება ცოტ-ცოტათი. გამოზოგვით, მაშინ როდესაც უტყეო, ტიტველა ადგილებში, თოვლი ერთბაშად იცის დადნობა და უზარმაზარი ხევების და რუების გაკეთება, რომელთაც დიდი ზარალი მოაქვთ ხოლომე. ტყეებით დაბურული მთა-გორაკები გაგიჟებულ რუებს არ წარმოშობენ, ვინაიდან ტყეში წყალს აკავებს: ხეები, დაცვივნილი ფოთლები, ყლორტები, ხავსი, ბლან-ბულახი და სხვა. ამის გარდა ყველამ იცის. თუ ტყე როგორა წმენდს და ასუფთავებს ჰაერს; აბა შეადარეთ ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა ტყიან და უტყეო ადგილებში მცხოვრებთა.

განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებში დიდი ხანია შეიგნეს ტყის დიდი მნიშვნელობა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამი-

ტომ არავითარ ხარჯს და შრომას არ ერიდებიან და ხელოვნურად აშენებენ ტყეებს. ჩვენში კი საუბედუროდ შეუგნებლობით თუ, გაკირვების გამო; ხშირად ისრე ეპყრობა ამ თავის შეგობარ ტყეს, როგორც მტერს. ვინ არ იცის როგორის დაუზოგველობით იჩნება ჩვენში ტყეები; გაიხსენეთ რა ხდებოდა ამ ორიოდ წლის წინდ ხალხის აღფრთოვანება, — „ერთობის“ დროს?, ამიტომ მომეტებულ ადგილას საშენ ტყეების მაგივრად დაგვრჩენია, ან გამოუსადეგარი ბუჩქნარი, რომელსაც ტყეილად უკავია მიწა, ან ჩამოფხავებული წვიმა-ნიაღვრებისაგან ჩამორეცხილი მთა-გორაკები. ჰკაფავენ ხშირად უანგარიშოთ, სადაც და რამდენიც მოუხდებათ. განა ცოტაა მაგალითები, რომ ადამიანს სიზარმაცის გამო, რომ ცოტათი მოშორებით არ დასკირებოდა წასვლა რამეგვარი შეშის, ან ჯბრალო მასალის დასამზადებლათ, წამოუქცევია მახლობლად მდგომი—საუკუნეებით ნანახი ხე? სამასლო (მაგ. სატივო) ხის გაზრდისთვის კი საჭიროა 150—300 წელიწადი. გონიერულად, და ზოგადი მოხმარებით უფრო შესაძლებელი. კაცმა მეტი მასალაც დაამზადოს და ტყეებიც სამუდამოთ შეინახოს და უთავბოლო, უანგარიშო მოხმარებით კი ტყეები ოხრდება და მის ნაცვლად ხშირად გვრჩება ხრიოკი, გამოუსადეგარი ადგილები, რადგანაც ტყე უმეტეს შემთხვევაში ოხრდება მწირ და დაქანებულ ადგილებზე. სადაც ხვანათსვა შეუძლებელია. მაგ. ფიჭი და საზოგადოთ ეკოლ-ფოთოლა ტყე მშვენიერად ხარობს ქვიშარ ნიადაგზედაც.

ხეშო ნათქვამიდგან, ვფიქრობ, მკითხველი დაინახავს, რომ ყოველი შეგნებულ მეურნეს თავისივე სარგებლობა უნდა ეუბნებოდეს სიფრთხილით მოეკიდოს ტყეს და დაზოგვით, გონიერულად იხმაროს იგი.

გ. ახალციხელი.



საუბარი ჯანმრთელობაზე.

I.

ამ წერილებით მე მინდა მოგაწოდო, მკითხველო, მოკლე, ადვილათ გასაგები ზოგიერთი

გამოსადეგი რჩევა-გაფრთხილებანი ჯანმრთელობის შესახებ.

არც ერთი ადამიანი არ მოიპოვება დედამიწაზე, რომ მის უპირველეს სურვილს, კარგათ ყოფნა და ჯანმრთელობა არ შეადგენდეს. ჯანმრთელობა კი სულ თუ არა, უმეტეს ნაწილათ ჩვენზეა დამოკიდებული. ამისთვის საკუთარი ვიცოდეთ რა უხდება და არგებს, ან რა სწყინს და ავნებს ჩვენს აგებულობას. ამას ძველ დროიდან დაწყებული დღემდე უკვირდებოდა ადამიანი,—ის ფიქრობს და სწავლობს, როგორ მოიქცეს, რომ ჯანმრთელათ იქნეს, მეტხანს იცოცხლოს. ის უკვირდება ცხოვრებას და ცდილობს შეამჩნიოს, შეისწავლოს სხვადასხვა ავთომყოფობათა გამომწვევი მიზეზები. ასეთ ცდა დაკვირვებამ თავის ნაყოფიც მოიტანა. და დღეს ჩვენ გვაქვს უკვე ნასწავლი პირების და გამოჩენილ ექიმების მიერ შემუშავებული მრავალ-გვარი რჩევა დარიგებანი, ჯანმრთელობის შესახებ; ეს რჩევა დარიგებანი შეადგენენ მეცნიერების განსაკუთრებულ დარგს, რომელსაც მსწავლეულები უძახიან „გიგიენას“. მართლაც კაცი ამ მეცნიერებას რომ გაეცნოს და მოიქცეს ისე, როგორც იგი გვასწავლის, ის (კაცი) ბევრათ გაიუმჯობესებს თავის ჯანმრთელობას, და ბევრ შემთხვევაში დაიფარავს თავს სხვადასხვა ავთომყოფობისაგან.

თქვენ თუ დაკვირებისაბრთ ბუნებას ადვილათ შეამჩნევდით, რომ იქ (ბუნებაში) არაფერი ხდება უმიზეზოთ. და ყველა მოვლენა გამოწვეულია რაიმე მიზეზის გამო—ეს ბუნების საზოგადო კანონია. ასეა ავთომყოფობაშიაც. მას უსათუოდ წინ მიუძღვის რამე მიზეზი, უმიზეზოთ არაფითარი ავთომყოფობა არ ჩნდება. მართლაც ამა შეეკითხეთ ავთომყოფს, ის უუქველათ მიგიითითებთ თავის ავთომყოფობის რომელიმე მიზეზედ: ერთი გეტყვის, რომ გაცივდა; ციებ-ცხელებიანი იტყვის, რომ ნესტიან და ქაობ ადგილას ცხოვრობს; სახალიანი ტყვის,—სხვისგან გადაედვა და სხვ. ცხადია, ეს მიზეზები რომ არ ყოფილიყო, არც ავთომყოფობა იქნებოდა. მაშ, საკუთარი გავუფრთხილდეთ და თავი დავიფაროთ ამგვარ მიზეზებისაგან რე რომ ავთ არ გავხდეთ. მეცნიერება-გიგიენაც ჩვენ ამაში გვეხმარება და გვასწავლის თუ რა მიზეზები და პირობები რა ავთომყოფობას იწვევენ, როგორ უნდა გაუფრთხილდეთ ამ მიზეზებს და დავიფაროთ თავი სხვადასხვა ავთომყოფობისაგან. შენც უნდა, გაეცნო, ჩემო მკითხველო ამ მოსაზრებას, მის მიხედვით შეძლების დავგარათ იცხოვრო და ამგვარათ ხელი შეუწყო საკუთარ კეთილდღეობას. უნდა გახსოვდეს, რომ, თუ ვისთვისმე არის ძვირფასი ჯანმრთელობა, შენთვის მით უმეტეს. შენ ხარ მუშა. შენ ასაზრდოვეფ და ჰკვებამ მთელ ქვეყანას. და შენი ერთათ ერთი სიძლიდრე კი შენი მარჯვენა ხელია. ხომ კარგათ იცი, რომ შენ ღნდხარ ყველას, სანამ ეგ შენი სიძლიდრე საღათ გავქვს—ხოლო თუ მაჯა მოგექა, მაშინ შენ ყველა ქვას მოგადგებს და ზედაც არაფერ შემოგხედავს. მაშ ასე, მეტი ყურადღება საკუთარ ტანმრთელობას. მე კი შენთვისთვის ვეცდები რამდენიმეთ მაინც დავგხმარო ამ საქმეში და მოგაწოდო საკუთარ ცნობანი.


რება-გიგიენაც ჩვენ ამაში გვეხმარება და გვასწავლის თუ რა მიზეზები და პირობები რა ავთომყოფობას იწვევენ, როგორ უნდა გაუფრთხილდეთ ამ მიზეზებს და დავიფაროთ თავი სხვადასხვა ავთომყოფობისაგან. შენც უნდა, გაეცნო, ჩემო მკითხველო ამ მოსაზრებას, მის მიხედვით შეძლების დავგარათ იცხოვრო და ამგვარათ ხელი შეუწყო საკუთარ კეთილდღეობას. უნდა გახსოვდეს, რომ, თუ ვისთვისმე არის ძვირფასი ჯანმრთელობა, შენთვის მით უმეტეს. შენ ხარ მუშა. შენ ასაზრდოვეფ და ჰკვებამ მთელ ქვეყანას. და შენი ერთათ ერთი სიძლიდრე კი შენი მარჯვენა ხელია. ხომ კარგათ იცი, რომ შენ ღნდხარ ყველას, სანამ ეგ შენი სიძლიდრე საღათ გავქვს—ხოლო თუ მაჯა მოგექა, მაშინ შენ ყველა ქვას მოგადგებს და ზედაც არაფერ შემოგხედავს. მაშ ასე, მეტი ყურადღება საკუთარ ტანმრთელობას. მე კი შენთვისთვის ვეცდები რამდენიმეთ მაინც დავგხმარო ამ საქმეში და მოგაწოდო საკუთარ ცნობანი.

კანდი.

რედ.-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილაძე.

განცხადება

8 აგვისტოდან გამოდის ყოველ-კვირული საგლეხო გაზეთი



გაზეთი ემსახურება სოფლის მუშას. ეცდება გაურკვევს მას ყოველგვარი საკუთრობოტოკო კითხვები და მიაწოდოს გამოსადეგი ცნობანი. გაზეთის ფასი თბილისსა და თბილისს გარეთ: ერთი წლით — 2 მ.—50 კ. ნახევარი წლით — 1 მ.—50 კ. სამი თვით — 80 კ. ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოტის ადრე: Книжный магазинъ „Сорапанъ“ Мад. остр. Сосо Мачавარიани. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 11—2 საათამდე.